ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 4887094

გაცემის თარიღი: 06/03/2020 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1730119
შემოსვლის თარიღი: 29/01/2020
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.72.14.012.897
- მისამართი: ქალაქი თბილისი, პიმენ ყურაშვილის ქუჩა, N 23ა
- ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
- ფართობი: 683.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): დარეჯან ხიდეშელი (P/N: 01018000411 C/N: 057825979)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**
- **II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- სპარტაკი ახვერდაშვილი პ/ნ 01011060708
- მისამართი: თბილისი აწყურის ქ. N 4"ა" ბ. 39

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქს: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 08 ოქტომბრის №№928976 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 29 იანვარს AR1730119 განცხადებით მომართა მოქ. სპარტაკი ახვერდაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 08 ოქტომბრის №№928976 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება, ახალი საკადასტრო ერთეულის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2013 წლის 08 ოქტომბრის №№928976 ბრძანებით, ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობაში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.012.022; ფართობი: 2000.00 კვ.მ.) შესაბამისი პირობებითა და პარამეტრებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერის და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, წითელი ხაზების კორექტირება კოორდინატთა სისტემაში, შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საკადასტრო კოდი და ფართობი.
წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2013 წლის 08 ოქტომბრის №№928976 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით, ახალი საკადასტრო კოდის და მიწის ნაკვეთის ფართობის დაფიქსირებით.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2013 წლის 08 ოქტომბრის №№928976 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

ბრძანება

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 08 ოქტომბრის №№928976 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.72.14.012.897; ფართობი: – 683 კვ.მ., განცხადების რეგისტრაციის ნომერი: #892018767383, მომზადების თარიღი: 04/09/2018წ.) და ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892018767383, თარიღი: 04/09/2018წ.).
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 08 ოქტომბრის №№928976 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მ ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.



29/124-01

29.01.2020

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო
სამართლის იურიდიულ პირს თბილისის
არქიტექტურის სამსახურს

სს „თიბისი ბანკსა"და ერეკლე შაიშმელაშვილს (პ/ნ 01017053670), დარეჯან ხიდეშელს (პ/ნ01018000411) შორის 2017 წლის 12 დეკემბერს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება NN1231231981631, რომლის საფუძველზეც სს "თიბისი ბანკის" სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა შემდეგი ფართი:

- მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.72.14.012.022
- მისამართი: ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა
- საგანი: დაზუსტებული ფართობი: 2000.00 კვ.მ.

გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკი", როგორც ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების იპოთეკარი, თანახმაა რომ ერეკლე შაიშმელაშვილისა (პ/ნ 01017053670) და დარეჯან ხიდეშელის (პ/ნ01018000411) საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ს/კ 01.72.14.012.022 განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ უზრუნველყოფის ობიექტზე გაგრძელდეს პროექტის კორექტირება რეალიზებულ ვარიანტთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ისე რომ უცვლელი დარჩეს სს „თიბისი ბანკი"-ს მიმართ იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და არ შემცირდეს საბაზრო ღირებულება.

ს.ს. "თიბისი ბანკის" ჭავჭავაძის გამზირის სც #1ს

გაყიდვების კოორდინატორი

ანა ხუბულური

